ადრესატი:

ბესიკ ტაბიძე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

წერილის ნომერი:**31-31261808**
თარიღი: **29/06/2026**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს, ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 23 ივნისს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა.

დანართი: სხდომის ოქმი № 7 – 6(ექვსი) ფურცელი;

დასკვნა № 7 – 2 (ორი) ფურცელი;

სარეგისტრაციო -1(ერთი) ფურცელი.

პატივისცემით,

კარლო კვიტაიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია-საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომის ოქმი № 7

ქ. ლანჩხუთი **23.06.2026 წელი**

16:00 საათი

სხდომას უძღვებოდა: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **კარლო კვიტაიშვილი.**

სხდომას ესწრებოდა კომისიის წევრები: ნინო მშვიდობაძე, ლოლიტა ურუშაძე, დარეჯან ბურჭულაძე, რევაზ კვერენჩხილაძე, თენგიზ ხუხუნაიშვილი, ირაკლი ტოროტაძე.

სხდომას არ ესწრებოდნენ: ელისო ჭიჭინაძე, ივანე ებრალიძე, გელა პატეიშვილი, ვარლამ ჩხარტიშვილი.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე **ეკა გუჯაბიძე,** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსი **ვარდენ კვაჭაძე,** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **როლანდ ლაშხია,** ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო - სააღმზრდელო ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი **მარინა კეიდია,** ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო - სააღმზრდელო ცენტრის მეთოდისტი **ხათუნა ბოლქვაძე,** ანსამბლ „მხედრების" ხელმძღვანელი **ავთო თურქია,** საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **მაია ლომთათაძე,** საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში **ლაშა სარჯველაძე,** საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი **ნინო ჭანტურიშვილი.**

სხდომის თავმჯდომარემ, კარლო კვიტაიშვილმა სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქ. ლანჩხუთის ადმინისტრაციული ერთეულის საზღვრებში ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების ადგილების, საფასურის, რეგულირების წესისა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125[4] პუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას საჯარიმო ქვითრის-ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი კარლო კვიტაიშვილი/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი კარლო კვიტაიშვილი/

3. „ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო - სააღმზრდელო ცენტრის" მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენა.

/მომხსენებელი კარლო კვიტაიშვილი/

4. სხვადასხვა საკითხები.

დღის წესრიგის პროექტის მიმართ კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

კომისიის თავმჯდომარემ, კარლო კვიტაიშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

მომხრე 7; წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქ. ლანჩხუთის ადმინისტრაციული ერთეულის საზღვრებში ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების ადგილების, საფასურის, რეგულირების წესისა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125[4] პუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას საჯარიმო ქვითრის-ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსმა **ვარდენ კვაჭაძემ** და აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 2026 წლის 18 მაისის V 9 26 00016017 საკონსულტაციო დასკვნაში მითითებულია შენიშვნები. აღნიშნულის გათვალისწინებით სამსახურის მიერ მომზადდა ფოტოები, რომლებზეც მითითებულია მიწის ნაკვეთის ფართობები რომლებიც უნდა განისაზღვროს საპარკინგე ადგილებად, ასევე შპს იმერეთის მიმდებარედ მუნიციპალურ საკუთრებად დარეგიტრირდა მიწის ნაკვეთი ს/კ 27.06.51.423.

საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენისას დამრღვევს განემარტება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული მისი უფლებები და მოვალეობები: ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს უფლება აქვს გაეცნოს საქმის მასალებს, მისცეს ახსნა-განმარტებანი, წარადგინოს მტკიცებულებანი, განაცხადოს შუამდგომლობანი; საქმის განხილვისას ისარგებლოს ადვოკატის იურიდიული დახმარებით; ისაუბროს მშობლიურ ენაზე და თუ არ იცის მიმდინარე წარმოების ენა, ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით; გაასაჩივროს საქმის გამო მიღებული დადგენილება (გადაწყვეტილება).

ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს მიეცემა განმარტება, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 273-ე მუხლის მიხედვით მას უფლება აქვს, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილება 10 დღის ვადაში გაასაჩივროს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქუჩა №26).

საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული 30-დღიანი ვადის გასვლის შემდეგ, თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში, ამავე კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის პირს დაერიცხება საურავი დაკისრებული ჯარიმის ორმაგი ოდენობით. საურავის დარიცხვიდან 30 დღის ვადაში ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში დამრღვევის მიმართ განხორციელდება ჯარიმისა და საურავის გადახდის უზრუნველყოფის ღონისძიება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125[4]-ე მუხლის საფუძველზე შედგენილი საჯარიმო ქვითრით – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით განსაზღვრული ჯარიმის გადახდა უნდა განხორციელდეს სახაზინო კოდზე: 300063255.

საჯარიმო ქვითრით – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით დაკისრებული თანხა სამართალდამრღვევს შეაქვს საბანკო დაწესებულებაში ან საქართველოს ადმინისტრაციულ-

ტერიტორიულ ერთეულებში მოქმედ მის ფილიალებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში ჩასარიცხად. თანხის გადახდისას მიეთითება სამართალდამრღვევის მონაცემები (ფიზიკური პირის შემთხვევაში მიეთითება სახელი, გვარი და პირადი ნომერი, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში – სამართლებრივი ფორმა, სახელწოდება და საიდენტიფიკაციო ნომერი) და საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ნომერი.

ადმინისტრაციული სამართალდამრღვევის მიერ ოქმზე ხელის მოუწერლობა და მის ჩაბარებაზე უარის თქმა არ ათავისუფლებს სამართალდამრღვევს პასუხისმგებლობისა და ვალდებულებებისაგან.

კომისიის თავმჯდომარის, **კარლო კვიტაიშვილის** აზრით, აღნიშნული კანონის ამოქმედების შემდეგ, პირველ დღეებში, კარგი იქნება, თუ მონიტორინგის სამსახური არ იქნება ძალიან მკაცრი და ეტაპობრივად მოხდება მოსახლეობის ინფორმირება.

კომისიის წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა.

კომისიის თავმჯდომარემ, კარლო კვიტაიშვილმა კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

მომხრე 7; წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ**. მან განმარტა, რომ „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2026 წლის 16 იანვრის N102 განკარგულებაში საქართველოს მთავრობის 2026 წლის 5 მარტის N481 განკარგულებით შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტს გამოეყო 6051160 (ექვსი მილიონ ორმოცდათერთმეტი ათას ას სამოცი) ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსებით მიიმართება 318485 (სამას თვრამეტი ათას ოთხას ოთხმოცდახუთი) ლარი. სულ, განსახორციელებელი პროექტების მთლიანი ღირებულება (მიმდინარე წელს დასაფინანსებელი) 6369645 (ექვსი მილიონ სამას სამოცდაცხრა ათას ექვსას ორმოცდახუთი) ლარი; მათ შორის:

- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ჩიბათის, ქალაქის და გვიმბალაურის ადმინისტრაციულ ერთეულებში შიდა გზების რეაბილიტაცია - 1868350 ლარი, აქედან, სახლემწიფო ბიუჯეტით დაფინანსედება - 1774332 ლარი.
- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის აკეთის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა გზის რეაბილიტაცია, შუხუთის და ნიგოითის ადმინისტრაციულ ერთეულებში სანიაღვრე არხების მოწყობა - 2105264 ლარი, აქედან, სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსება - 2000 000 ლარი.
- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ღრმაღელის, ჩოჩხათის და ნინოშვილის ადმინისტრაციულ ერთეულებში შიდა გზების რეაბილიტაცია - 2105264 ლარი, აქედან, სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსება - 2 000 000 ლარი.
- ქალაქ ლანჩხუთში სპორტული დარბაზის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა - 290767 ლარი, აქედან, სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსება - 276228 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2026 წლის 19 მარტის N580 განკარგულებით, მუნიციპალიტეტს გამოეყო 2250000 (ორი მილიონ ორასს ორმოცდაათი ათასი) ლარი, 2025 წლის თებერვლის თვეში განვითარებული სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის (საკუთრებაში რეგისტრირებული საცხოვრებელი სახლები, რომლებიც სოფლად დაინგრა ან არ ექვემდებარება აღდგენას) კომპესაციის გაცემის მიზნით.

საქართველოს მთავრობის 2026 წლის 27 მარტის N620 განკარგულებით, მუნიციპალიტეტს გამოეყო 20000 (ოცი ათასი) ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით და მიიმართება რისკის ქვეშ მყოფი ბავშვიანი ოჯახების გაძლიერების პროგრამის დასაფინანსებლად.

კომისიის წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

კომისიის თავმჯდომარემ, კარლო კვიტაიშვილმა კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

მომხრე 7; წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის მესამე საკითხი: „ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო - სააღმზრდელო ცენტრის" მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ისაუბრა ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო - სააღმზრდელო ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა **მარინა კეიდიამ.**

კომისიის თავმჯდომარემ **კარლო კვიტაიშვილმა** მადლობა გადაუხადა საგანმანათლებლო - სააღმზრდელო ცენტრს გაწეული შრომისთვის და აღნიშნა, რომ პატივს სცემს თითოეული თანამშრომლის ღვაწლს. მისი თქმით, რამდენიმე დღის წინ, კომისიის წევრებთან ერთად იმყოფებოდა ქ. ლანჩხუთის N 1 და მაჩხვარეთის საბავშვო ბაღებში. ის დაინტერესდა, თუ რამდენად არის მისაღები ბავშვებისთვის მეორადი საოჯახო ნივთების გამოყენება სათამაშოდ, რაზეც ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო - სააღმზრდელო ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა **მარინა კეიდიამ** აღნიშნა, რომ ეს მეთოდოლოგია არის ახალი. აღნიშნული სტანდარტი დამტკიცებულია განათლების სამინისტროს მიერ, რომელიც შემოწმებულია განათლების ხარისხის ცენტრის მიერ და არის სრულიად უსაფრთხო ბავშვებისთვის. მისი თქმით საბჭო, რომელიც ბაღებს ანიჭებს ავტორიზაციას, შედგება 10 სხვადასხვა დარგის ესპერტისგან.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო - სააღმზრდელო ცენტრის მეთოდისტმა **ხათუნა ბოლქვაძემ** ისაუბრა იმის შესახებ, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 5 ბაღს ააქვს ავტორიზაცია გავლილი სრულად და ერთს ნაწილობრივ, რაც განსაზღვრავს ხარისხს და აწესებს სტანდარტს. ბავშვებს აქ უვითარდებათ სოციალურ-ემოციური, შემეცნებითი უნარები, ასევე მეტყველება, კომუნიკაცია, დამოუკიდებლობა, საშემსრულებლო ხელოვნება. მისი თქმით, სტანდარტი აღიარებს როგორც ქარხნულ სათამაშოს, რომელიც ავითარებს ვიწრო უნარებს, ასევე მეორად სათამაშოებს, რაც ხელს უწყობს მაღალი საზროვნო უნარების განვითარებას. ბავშვი ამ დროს ატარებს ექსპერიმენტს, იკვლევს, აღმოაჩენს, ქმნის რესურსს, რომელიც მრავალფუნქციურად შეუძლია გამოიყენოს. ბაღებში ასევე აქვთ საკანცალარიო მასალები: პლასტელინები, ფერადი ფურცლები, მაკრატელი, სახატავი მასალები, ხოლო რაც შეეხება სტაციონალურ რესურსს, არის ძალიან ძვირი, რომლის ღირებულება დაახლოებით შეადგენ 8 – 10000 ლარს. მან აგრეთვე აღნიშნა, რომ სკოლამდელ ასაკში ხდება ყველაზე მეტად ბავშვის ტვინის განვითარება და ძალიან მნიშვნელოვანია ბავშვისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნა, სადაც არ ეშინია, არ იძაბება და არის მშვიდად.

კომისიის წევრმა **დარეჯან ბურჭულაძემ** აღნიშნა, რომ მისთვის სრულიად მისაღებია ის, რომ ბავშვმა ითამაშოს მეორადი საოჯახო ნივთებით, რაც ფანტაზიის უნარს უვითარებს ბავშვს. მისი აზრით, ბავშვი შეიძლება მოხვდეს ისეთ გარემოში, სადაც არ არის მზა სათამაშო და უნდა მოძებნოს ალტერნატიული გართობის გზა. უნდა მოერგოს ნებისმიერ სიტუაციას და შეძლოს თავის დამკვიდრება ყველა სიტუაციაში.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ **ეკა გუჯაბიძემ** აღნიშნა, რომ განათლების სამინისტროს ექსპერტების მიერ, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში არსებული ბაღები შეფასდა ძალიან მაღალ დონეზე, რომ ლანჩხუთი არის ფლაგმანი და ეს არის მაგალითი სხვა მუნიციპალიტეტებისთვის, თუ როგორი უნდა იყოს ბაღი. მისი თქმით, ბავშვები თამაშ-თამაშით სწავლობენ ბევრ რამეს. ღონისძიებები წინასწარი მომზადების გარეშე, სპონტანურად ტარდება, ხოლო ზეიმები რა ფორმითაც ადრე ტარდებოდა, არ შეიძლება დაწესდეს სოციალური გათანაბრების გამო. მისი თქმით, ბაღი ძალიან ბევრ დეტალს გადის სამუშაო პროცესში და ავტორიზაცია არის პასუხი იმაზე, თუ რა მდგომარეობაა ბაღებში. რომ იქ არის ბავშვის განვითარებაზე მორგებული გარემო და შესაბამისი სტანდარტები, რომელიც პასუხობს ყველა კითხვას, როგორც სურსათის უვნებლობის, ასევე განათლების მიმართულებით. ამ შედეგზე გასვლა არის მთლიანი გუნდის დამსახურება და ის ამაყობს ამ შედეგებით.

კომისიის წევრი **დარეჯან ბურჭულაძე** დაინტერესდა, მშობლებს რამდენად მოსწონთ ბაღებში არსებული თანამედროვე მიდგომები, რაზეც მეთოდისტმა **ხათუნა ბოლქვაძემ** აღნიშნა, რომ სკოლამდელ დაწესებულებებს დაევალა მშობელთა ცნობიერების ამაღლება და ავტორიზაციის ერთ-ერთი მთავარი პირობაა მშობელთა ჩართულობა ამ პროცესში.

მარინა კეიდიამ აღნიშნა, რომ არსებობს მშობლებისგან შემდგარი საკონსულტაციო საბჭო. გარდა ამისა, არის სპეციალური პროგრამა, სადაც დატრენინგებული თანამსრომლები ემსახურებიან მშობლების ცნობიერების ამაღლებას. ეს არის რამოდენიმე კვირიანი პროგრამა, რომელიც ხორციელდება ყოველწლიურად და მშობლების მიერ მიღებული ცოდნის გაზიარება ხდება დანარჩენ მშობლებთან. რაც შეეხება კვებას, მენიუ არის გამოკრული სტენდზე, რომელიც შედგენილია ნუტრიციოლოგის მიერ კალორიების დათვლით და არის 2 სეზონიანი.

ხათუნა ბოლქვაძემ ისაუბრა იმის შესახებ, რომ საკონსულტაციო საბჭო შედგება სულ 7 წევრისგან და აქედან 5 არის მშობელი, 2 კი აღმზრდელი. ყოველწლიურად ტარდება თავისუფალი, სამართლიანი, გამჭვირვალე არჩევნები, სადაც თავად მშობლები ირჩევენ მშობლებს, ხოლო აღმზრდელს ირჩევს ბაღის პერსონალი. საბჭოს წევრები ძალიან მნიშვნელოვან საკითხებზე იღებენ გადაწყვეტილებებს, აქტიურად არიან ჩართულები ზეიმის მოწყობაში, ხდება გასვლითი ღონისძიებები მუზეუმებში, ბიბლიოთეკებში, სატრანსპორტო სამსახურში, საცხობებში. ასევე, არსებობს მშობლის საათი, როცა მშობელს უფლება აქვს, მთელი დღის განმავლობაში იყოს ბაღში და გაეცნოს როგორი კვებაა, როგორი სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობაა, რას ასწავლიან და რას იღებს ბავშვი ბაღიდან.

კომისიის თავმჯდომარე **კარლო კვიტაიშვილი** დაინტერესდა, შშმ ბავშვებისთვის თუ არის პედაგოგები საკმარისი, რაზეც **მარინა კეიდიამ** აღნიშნა, რომ განიცდიან სხვადასხვა საჭიროების მქონე პედაგოგების სიმცირეს, ესაჭიროებათ ასევე მეტყველების თერაპევტებიც.

საკითხის ირგვლივ ისაუბრა **ხათუნა ბოლქვაძემ,** რომელმაც აღნიშნა, რომ განსაკუთრებული საჭიროების ბავშვები არის მომრავლებული, ამიტომ აღმზრდელები გადიან სკოლამდელი ინკლუზიური განათლების ტრენინგებს, რაც მათ აძლევთ იმ კომპეტენციებს, რომ შეძლონ შშმ ბავშვი ჩართონ ყველა პროცესში თანაბრად. თუ ბაღს არ ჰყავს შესაბამისი პოზიციის სპეციალისტი, გაერთიანებამ მსგავსი შემთხვევებისთვის უკვე 2 წელია მემორანდუმი გააფორმა ადრეული განვიტარების ფონდთან. შესაბამისად, ცენტრის სპეციალისტები ვალდებული არიან მივიდნენ ბაღში და იმუშაონ ამ მიმართულებით. ისინი აღმზრდელებს აძლევენ რეკომენდაციებს და ხდება ინდივიდუალური განვითარების გეგმის გაწერა. ის ბავშვები, რომელთაც უჭირთ გადაადგილება, განთავსებული არიან შენობის პირველ სართულზე.

კომისიის წევრი **დარეჯან ბურჭულაძე** დაინტერესდა, ჰყავთ თუ არა ინდივიდუალური კვების საჭიროების მქონე ბავშვები, რაზეც **მარინა კეიდიამ** აღნიშნა, რომ არცერთ მშობელს არ წარმოუდგენია ალერგიის დიაგნოზის საბუთი, თუმცა მსგავსი შემთხვევებისთვისაც მზად არის ბაღები. გადამზადებულია ყველა ექთანი, რათა, საჭიროების მიხედვით მოხდეს პირველადი დახმარების გაწევა.

შემდეგ მან ისაუბრა იმის შესახებ, რომ შუხუთისა და მაჩხვარეთის ბაღებს სჭირდება სრული რეაბილიტაცია. მალე გაკეთდება პროექტი, გამოცხადდება ტენდერი და ეს ბაღებიც იქნება სრულ წესრიგში. ასევე, ქვიანის ბაღს ესაჭიროება მიშენება, ხოლო ნინოშვილის ბაღი გაიხსნება მიმდინარე წლის სექტემბრის თვეში.

კომისიის თავმჯდომარემ, **კარლო კვიტაიშვილმა** მადლობა გადაუხადა სტუმრებს თავდაუზოგავი შრომისთვის და აღნიშნა, რომ ლანჩხუთის ბაღების გაერთიანება არის სამაგალითო.

სხვადასხვა საკითხები.

ანსამბლ „მხედრების“ ხელმძღვანელმა **ავთო თურქიამ** ისაუბრა ანსამბლის წარმატებებისა და საჭიროებების შესახებ და აღნიშნა, რომ ანსამბლს სჭირდება ფინანსური დახმარება, რათა გავიდეს გასტროლზე და გააკეთოს აუდიო ჩანაწერი. მან ასევე აღნიშნა, რომ ფოლკლორის ცენტრი აპორებდა სალოტბარო სკოლის გახსნა, რაც შეჩერებულია. მისი თქმით, ფოლკლორის ცენტრს აქვს იმის შესაძლებლობა, რომ ბავშვები დაასაქმონ, ასევე, ისინი გადიან გასტროლებზე უცხოეთში და ამ ყველაფერს უზრუნველყოფს ფოლკლორის ცენტრი.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის, **მაია ლომთაძის** იდეაა ღია სივრცეში ჩატარდეს ხალხური სიმღერის ფესტივალი.

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა

და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე: **/კარლო კვიტაიშვილი/**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია

2800 ლანჩხუთი, კოსტავას 37 0 494 22 30 19

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის №7 სხდომის დასკვნა

ქ. ლანჩხუთი **23.06.2026 წ.**

2026 წლის 23 ივნისს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქ. ლანჩხუთის ადმინისტრაციული ერთეულის საზღვრებში ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების ადგილების, საფასურის, რეგულირების წესისა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125⁴ პუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას საჯარიმო ქვითრის-ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი კარლო კვიტაიშვილი/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი კარლო კვიტაიშვილი/

3. „ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო - სააღმზრდელო ცენტრის“ მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენა.

/მომხსენებელი კარლო კვიტაიშვილი/

4. სხვადასხვა საკითხები.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქ. ლანჩხუთის ადმინისტრაციული ერთეულის საზღვრებში ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების

ადგილების, საფასურის, რეგულირების წესისა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125[4] პუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას საჯარიმო ქვითრის-ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

მომხრე 7; წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

მომხრე 7; წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის მესამე საკითხი: „ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო - სააღმზრდელო ცენტრის“ მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში კომისიის წევრების მიერ ცნობად იქნა მიღებული.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა
და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე: **/კარლო კვიტაიშვილი/**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები

სარეგისტრაციო ფურცელი

23.06.2026 წელი
16:00 საათი

1. კარლო კვიტაიშვილი - კომისიის თავმჯდომარე	15:45	
2. ნინო მშვიდობაძე	15:40	
3. დარეჯან ბურჭულაძე	16:00	
4. ლოლიტა ურუშაძე	16:00	
5. ელისო ჭიჭინაძე	ან ესწრებოდა	
6. რევაზ კვერენჩხილაძე	16:00	
7. ივანე ებრალიძე	ან ესწრებოდა	
8. ვარლამ ჩხარტიშვილი	ან ესწრებოდა	
9. გელა პატეიშვილი	ან ესწრებოდა	
10. ირაკლი ტოროტაძე	16:00	
11. თენგიზ ხუხუნაიშვილი	15:47	